თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმი #7

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 23, სტუდენტები – 4, სულ – 28 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შესახებ:
ა) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
ბ) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;
გ) საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამა.
დ) ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა).

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

2. 2007 და 2008 წლის ,,ბიზნესის მართვის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის კორექტირების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

3. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შესახებ:
ა) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
ბ) ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;
გ) საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამა;
დ) ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა).

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ნ. პაპაჩაშვილმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გააცნო ცვლილებები, რომელიც უნდა განხორციელდეს:

- *თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2013-2015 წლების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში;*
- *თსუ 2013–15 და 2012–14 წლების ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში;*
- *საერთაშორისო საწარმოთა მართვის 2013-2015 წლების სამაგისტრო პროგრამაში;*
- *თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2013-2015 და 2012-2014 წლების ეკონომიკის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში.*

ნ. პაპაჩაშვილმა თითოეული პროგრამის ცვლილების შესახებ წარმოადგინა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნები. აღინიშნა, რომ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებულია დადებითი დასკვნა წარდგენილი ცვლილებების განსახორციელებლად.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

სამაგისტრო პროგრამებში აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შესახებ თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში გაიმართა კენჭისყრა, კერძოდ:

გაიმართა კენჭისყრა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26

წინააღმდეგი – 2

გაიმართა კენჭისყრა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28

წინააღმდეგი – 0

გაიმართა კენჭისყრა საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28

წინააღმდეგი – 0

გაიმართა კენჭისყრა ეკონომიკის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა) აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიეცეს თანხმობა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2013-2015 წლების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ცვლილებას წარმოდგენილი სახით; შესაბამისი ცვლილება აისახოს 2012-14 წლების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მარკეტინგის მოდულში;
2. მიეცეს თანხმობა 2013–15 და 2012–14 წლების ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ცვლილებას წარმოდგენილი სახით;
3. მიეცეს თანხმობა 2013-2015 წლების საერთაშორისო საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამის ცვლილებას წარმოდგენილი სახით;
4. მიეცეს თანხმობა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2013-2015 და 2012-2014 წლების ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ცვლილებას წარმოდგენილი სახით;
5. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული პროგრამების დამტკიცება.

მოისმინეს: 2007 და 2008 წლის ,,ბიზნესის მართვის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის კორექტირების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის საინფორმაციო ხასიათის. წინა სხდომაზე გამოტანილი საკითხი ოთხი კურსდამთავრებულის შესახებ, რომელთაც არასწორად ჰქონდა კვალიფიკაცია მინიჭებული, გადაიჭრა დადებითად. დეკანმა აღნიშნა, რომ დაპირების მიხედვით, ჩატარდა მოკვლევა 2006, 2007 და 2008 წლების შესახებ. დეკანის მოთხოვნით მსგავსი კვლევა ჩატარდა 2009, 2010, 2011, 2012 წლებისთვისაც. 2006, 2007, 2008 წლებში დაახლოებით სულ იყო 3700 სტუდენტი, მაგისტრატურაში კი - 454 კურსდამთავრებული. დეკანმა აღნიშნა, რომ ახლა უკვე

ცნობილია თუ საიდან, რომელი საფეხურიდან, რომელი წლებიდან გახდება საჭირო შეცდომის გასწორება. აღებულ იქნა კონსულტაციები თსუ ხარისხის უზრუნველყოფის, იურიდიული და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებიდან და რეკომენდაციების მიხედვით განხორციელდა ცვლილება ოთხი კურდამთავრებულის მიმართ. მოკვლევა გრძელდება და ისევ გაიგზავნება შეკითხვები ამ საკითხის შესახებ შემდგომი რეაგირებისათვის.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ინფორმაცია ფინალური გამოცდების მიმდინარეობის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ფაკულტეტის დეკანმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ მას სურს მადლობა გადაუხადოს ყველა კათედრას, პროფესორებს გამოცდების ნორმალურად მიმდინარეობისთვის. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ცოტაა აპელაციების რაოდენობა. დეკანმა იმედი გამოთქვა, რომ გამოცდები ასეთივე წარმატებით გაგრძელდება და დასრულდება.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: სადოქტორო დისერაციის გარე შემფასებლების ანაზღაურების შესახებ

/სრ. პროფესორი ე. მექვაბიშვილი/

სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ სადოქტორო დისერაციის გარე შემფასებლების ანაზღაურების საკითხი საკმაოდ აქტუალურია. დისერტაციის შეფასების პროცესი საკმაოდ საპასუხისმგებლო, შრომატევადია, რთული სამუშაოა და არ შეიძლება ეს მხოლოდ პირადი ურთიერთობებით რეგულირდებოდეს. ამიტომ საბჭოს წინაშე დგება საკითხი, რომ ეს მომსახურება იყოს ანაზღაურებადი.

აზრი გამოთქვეს:

სრ. პროფ. ქ. მარშავა - მე ვეთანხმები გარე შემფასებლების ანაზღაურების საკითხის, ვინაიდან ეს საკითხი დიდი ხანია აქტუალურია.

ფაკულტეტის დეკანი, ა. ხელაძე - იდეა საკმაოდ აქტუალურია და მე მხარს ვუჭერ. ვაყენებ წინადადებას, რომ ეს საკითხი განიხილოს საბიუჯეტო კომისიამ და შემდგომ თსუ ადმინისტაციამ განიხილოს ეს საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დაევალოს ფაკულტეტის საბიუჯეტო კომისიას აღნიშნული საკითხის განხილვა და ახალი სასწავლო წლიდან ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტში ჩასმა.
2. ეთხოვოს თსუ-ს ადმინისტრაციას ამ საკითხის განხილვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: **ა. ხელაძე**

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: **მ. ნაცვალაძე**